

## შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბა ბახმაროში „ცხრაწყაროს ტერიტორიაზე და ცხრაწყარო-ბახმაროს გზაზე ე.წ. „ლაშქა“ დელეს ტერიტორიაზე საპიკნიკე ადგილების, სავაჭრო დახლების და საზოგადოებრივი საპირფარეოს მოწყობის სამუშაოებისას გასათვალისწინებელია შემდეგი მოთხოვნები,კერძოდ:

1. ფარული სამუშაოების აქტებს აწარმოებს შპს „ზაისი და კომპანია“-ს წარმომადგენელი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს. „ზაისი და კომპანია“-ს შორის გაფორმებული 2020 წლის 04 თებერვლის N17 ხელშეკრულების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ფარული სამუშაოების აქტები არ იქნა წარდგენილი შემსყიდველისათვის (ინსპექტირების ჯგუფისათვის), აღნიშნული სამუშაოები არ ჩაითვლება მიღებულად და დამატებით ხარჯებს არსებული სამუშაოს თავიდან საწარმოებლად გაიღებს მიმწოდებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
2. ზედამხედველი უზრუნველყოფს მშენებლობის კონტრაქტის ფარგლებში სამუშაოების ხარისხის ყოველდღიურ კონტროლს და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტების (ფორმა N2) დადასტურებას. იმ შემთხვევაში, როდესაც სამუშაოების ხარისხი დამაკმაყოფილებელია და მოცულობა ზუსტი.
3. მიმწოდებელმა ხელშეკრულების გაფორმებამდე უნდა შეისწავლოს ტექნიკურ დავალებაში მოცემული შესყიდვის ობიექტის წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა. გამოვლენილი უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს, წინააღმდეგ შემთხვევაში პრეტენზია არ განიხილება.
4. შესრულებულ სამუშაოთა მაღალი ხარისხის უზრუნველსაყოფად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გამოყენებული მასალების სერტიფიკატები.
5. სამუშაოს შესრულებისას ნებისმიერი კომუნიკაციის დაზიანების შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს დაზიანების აღმოფხვრა.
6. საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება შესრულებულ სამუშაოზე მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის, შესრულებული სამუშაოების ფასის, მოცულობებისა და ხარისხის შესაბამისობაზე ექსპერტიზის დასკვნის (ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასალარტოლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს, ან /და სხვა აკრედიტირებული პირების მიერ. იმ შემთხვევაში, თუ დასკვნის გამცემი ორგანო არ იქნება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“, მიმწოდებელმა დამატებით უნდა წარმოადგინოს დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, აკრედიტაციის სფერო უნდა ფარავდეს მოთხოვნილ მომსახურებას) და ფინანსური დოკუმენტაციის (ფორმა N2, საგადასახადო ა/ფაქტურა ან/და ზედნადები, წერილობითი მოთხოვნა ანგარიშსწორებისათვის) წარმოდგენის შემთხვევაში.
7. მიმწოდებელმა ექსპერტიზის დასკვნა შესრულებულ სამუშაოზე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების ვადაში (ხელშეკრულების შესრულების ვადა მოიცავს ექსპერტის დასკვნისთვის საჭირო ვადას).
8. შესრულებული სამუშაო მიღებულად ჩაითვლება შესაბამისი წესით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
9. მიმწოდებელმა სამუშაოების წარმოება უნდა დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
10. სამუშაოს შესრულების გარანტიის ვადა განისაზღვრება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან სამი წლის განმავლობაში. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა, დეფექტების აღმოჩენიდან არა უმეტეს ერთი თვის ვადაში.
11. მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები - დასაქმებულისა და სამუშაო სივრცეში მყოფი სხვა პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ფუნქციური შესაძლებლობების სამუშაოს უარყოფითი ასპექტებისგან დაცვის სისტემა, რომელიც ჯანსაღი და უსაფრთხო საქმიანობის პირობებს ქმნის და მოიცავს სამართლებრივ, სოციალურ-ეკონომიკურ, ორგანიზაციულ-ტექნიკურ, სანიტარულ-ჰიგიენურ, სამკურნალო-პროფილაქტიკურ, სარეაბილიტაციო და სხვა ღონისძიებებს;